

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N11 – Pay Sticker

1. Pay Sticker-ის საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს გადახდა, პოს ტერმინალთან Pay Sticker-ის მიტანის გზით.
2. Pay Sticker-ი აღჭურვილია უკონტაქტო აპლიკაციით, რომლის საშუალებითაც გადახდა წარმოებს PIN კოდის გარეშე, მაქსიმუმ 45 (ორმოცდახუთი) ლარის ფარგლებში.
3. Pay Sticker-ი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი Mastercard-ის ტიპის სადებეტო/საკრედიტო ბარათის (გარდა American Express, sCool Card, Student Card და Maxima ბარათებისა) დამატებითი ბარათი.
4. Pay Sticker-ი დაკავშირებული იქნება შესაბამისი ბარათის ანგარიშთან და შესაბამისად გადახდა განხორციელდება ამ ანგარიშიდან.
5. Pay Sticker-ი საშუალებით შესაძლებელია გადახდა განხორციელდეს:
 - 5.1 სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტებში.
 - 5.2 ტრანსპორტსა (ასეთის შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში) და თბილისის საბაგირო გზებზე.
 - 5.3 დისტანციურ არხებში: Express Pay, მობილ ბანკი, ინტერნეტ ბანკი.
6. Pay Sticker-ის საშუალებით შესაძლებელია კლიენტმა გაიაროს იდენტიფიკაცია Express Pay-ს თვითმომსახურების ტერმინალთან.
7. Pay Sticker-ის გამოყენებისას წარმოებს PLUS ქულების დარიცხვა. PLUS ქულების დარიცხვის, მათი გამოყენების/გადაცვლის წესი და სხვა დამატებითი პირობები ხორციელდება ურთიერთობის პროგრამა PLUS-ის პირობების შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge